განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურად განხორციელების წინაპირობაა. ამ მიზნით, მიმდინარე რეფორმის ფარგლებში გატარდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადდა „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებების და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში კვალიფიციური კადრების დასაქმების უზრუნველყოფას, რაც მოიცავს მოხელის სამსახურში აყვანისას დასაკავებელ თანამდებობასთან მისი პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შესაბამისობის ეფექტურად შემოწმებას, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კანდიდატთა კონკურსის წესით შერჩევა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2014 წლის 26 ივლისს მიღებული საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნულ ნორმატიულ აქტს დაემატა 134[4] მუხლი, რომლის პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ 2015 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის მიერ გასავლელი კონკურსის სავალდებულო ეტაპი იქნებოდა კონკურსის მონაწილის ტესტირება.

აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მისი მიღების მომენტისათვის ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული მოხელეებიდან მხოლოდ 3,5 პროცენტი იყო დანიშნული კონკურსის გავლის შედეგად. მოხელეების დიდი ნაწილი დანიშნული იყო უვადოდ, კონკურსის გავლის გარეშე. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების უმრავლესობას არ ჰქონდა გავლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და სამუშაოთა აღწერილობასთან შესაბამისობის დადგენის რაიმე ფორმალიზებული პროცედურა. ამ ცვლილების შედეგად ტესტირების გარეშე მოხელეთა დანიშვნა გახდა შეუძლებელი, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების გაძლიერებაზე და წვლილი შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე რეფორმის წარმატებაში. აღნიშნულის მიუხედავად, მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მდგრადი სისტემის შექმნა კვლავ პრობლემად

რჩება და საჭიროა, გაგრძელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ადამიანური რესურსების განვითარებაზე ზრუნვა.

იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსში მონაწილეთა სავალდებულო ტესტირებამ მოხელეების სამსახურში აყვანისა და დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის საკითხის მოწესრიგებაზე დადებითი გავლენა იქონია, სასურველია, მოხდეს ამ ნორმის მოქმედების ვადის გაგრძელება, რათა შეიქმნას ადგილობრივი თვითმმართველობის ადამიანური რესურსების განვითარების სისტემის სამართლებრივი უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი.

კანონპროექტის მიღება მიზნია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებში,კვალიფიციური კადრების დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი.

კანონპროექტი ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134[4] მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანას და ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეების კონკურსის ჩატარების დროებითი წესის (რომლის თანახმადაც, 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში კონკურსის სავალდებულო ეტაპად უნდა განისაზღვროს ტესტირება) მოქმედების ვადის 2016 წლის 1 ივლისამდე პერიოდით განსაზღვრას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტი არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებასთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

კანონპროექტი არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადების, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები ერეკლე ტრიპოლსკი და ნოდარ ებანოიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები ერეკლე ტრიპოლსკი და ნოდარ ებანოიძე.